პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ᲨᲐᲑᲗᲘᲡ ᲞᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ № 302 (17042) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ. 1977

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1977 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

ᲒᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ დიადი სამშობლო წარმატებით ამთავრებს საიუბილეო წელს.

კომუნისტური შშენებლობის ყველა უბანზე თავადადებული შრომით საბჭოთა ადამიანები ადასტურებენ უდიდეს ეროგულებას კომუნისტური პარტიის საქმისადმი და მთელ ძალ-ღონეს ახმარენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა შესრულებას. საბჭოთა ადამიანების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის შემდგომი ამაღლების გზაზე დიმიტრი ულანოვი ნიშანსვეტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადწყვეტილებანი. დასახულია მომდევნო სამეურნეო წელს პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შთამაგონებელი პროგრამა, ზუსტად არის განსაზღვრული მუშაობის გადამწყვეტი უბნები, რომლებსაც პარტიამ და ხალხმა უმეტესი ყურადღება უნდა დაუთმონ.

28 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომთა დარბაზში მუშაობა დაიწყო რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ვ. გურგენიძე, ო. ნ. კარბა, ზ. ო. ვასაძე, თ. შ. ქაბულოვი.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარაძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

დეპუტატები ერთხმად ამტკიცებენ დღის წესრიგს, რომელშიც შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სსრ კავშირის კონსტიტუციიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან, და მათი როლი ახალი კონსტიტუციის დებულებათა პროპაგანდაში, შესწავლასა და განხორციელებაში.

2. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმა.

3. საქართველოს სსრ 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

4. „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ანგარიში მეექვსე და მეშვიდე სესიებს შორის გაწეული მუშაობის შესახებ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევა.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

ამტკიცებენ სესიის მუშაობის რეგლამენტს.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გ. გილაშვილმა.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: ი. ა. ხურმანიძე, (ქედის საარჩევნო ოლქი, ქედის რაიონი), ა. ᲐᲐ. ოვერჩუკი (თბილისის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), ა. ა. შუშანაშვილი (ძირულის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი).

ცხადდება შესვენება. შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე. დეპუტატებმა განაგრძეს მოხსენების განხილვა. განაცხადეს კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: ა. ი. აზიროვმა (მგრკვალაძის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), რ. ვ. სიხარულიძემ (პირველი საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), ბ. ა. ლაპინმა (ვაგზლისპირა საარჩევნო ოლქი, ქ. სოხუმი).

სესიის მონაწილეებმა დიდი აღმაცლობით მიიღეს მასალამებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე სესიის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენება.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ფ. ა. ანანიაშვილმა.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ზ. ა. ჩხეიძემ.

ამით დილის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

□

16 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ დეპუტატები კვლავ შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. დაიწყო საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის საღამოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ნ. ვ. გურგენიძე.

დეპუტატები იხილავდნენ მოხსენებებს „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმა“ და „საქართველოს სსრ 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატი ბ. თ. ლობჟანიძე (მახათის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. უნგიაძე, დეპუტატები ლ. ტ. ტყებუჩავა (აჯარმარის საარჩევნო ოლქი, ქ. ტყვარჩელი), ა. ვ. ბარისაშვილი (მუხრანის საარჩევნო ოლქი, მცხეთის რაიონი), რ. ᲐᲐ. კონცელიძე (შემოქმედის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), რ. ა. ბეტიევი (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. ცხინვალი), გ. ბ. კაპანაძე (შაშვეთის საარჩევნო ოლქი, გორის რაიონი), ი. ᲐᲐ. ფირმასნაშვილი (ლენინის საარჩევნო ოლქი, წითელწყაროს რაიონი).

ამის შემდეგ საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის საღამოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

29 დეკემბერს სესია მუშაობას განაგრძობს.

(საინფორმრი).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი წარმატებებია მიღწეული განათლების დარგში. საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უდიდესი მიღწევაა. განვითარებული სოციალიზმის პირობებში ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობა ცხოვრებას იწყებს სრული საშუალო განათლებით, რაც ახალ შესაძლებლობებს უქმნის მშრომელთა მასების შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, სულიერი კულტურისა და შეგნების ამაღლებას, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა იმ საქმეში, რომ ყველა თაობის საბჭოთა ადამიანისათვის ჩაენერგა კომუნისტური იდეური რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, შრომისა და სოციალისტური სამშობლოს მონაპოვართა დასაცავად შრომის მაღალი გრძნობები. განუყრელია სკოლის კავშირი ცხოვრებასთან, საბჭოთა საზოგადოების დიად მიღწევებთან, ხალხის თავდადებულ შრომასთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ნამდვილად საერთო-სახალხო სკოლაა, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს ერთიანი, შრომითი, პოლიტექნიკური სკოლის ლენინურ პრინციპებს.

ამ ბოლო ათ წელიწადში განახლდა განათლების შინაარსი, შეიქმნა ახალი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ამაღლდა სკოლებში სწავლებისა და აღზრდის დონე. უმჯობესდება სკოლების, სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოებისა და სასწავლო-საწარმოო კომბინატების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა. აშენდა ახალი სასკოლო შენობები თექვსმეტი მილიონი მოწაფისათვის.

გაიზარდა სახალხო მასწავლებლის როლი. სწავლა-განათლების საქმისადმი უანგარო სამსახურით მან საყოველთაო პატივისცემა და მოწიწება მოიხვეჭა. პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდად აფასებენ მასწავლებლის კეთილშობილურ შრომას, დღენიადაგ ზრუნავენ მისი იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებისათვის, მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის. განვლილ ათწლეულში ორ მილიონზე მეტი ახალგაზრდა პედაგოგი მომზადდა.

ამასთანავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საქმიანობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების პირობებში შრომითი სწავლების, მოსწავლეთა აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის ახლანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება საზოგადოებრივი წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაზრდილ მოთხოვნებს. ბევრი სკოლის კურსდამთავრებული ცხოვრებას ისე იწყებს, რომ სათანადო შრომითი მომზადება არ გაუვლია, საკმაო წარმოდგენა არა აქვს ძირითადი მასობრივი პროფესიების შესახებ და სიძნელეებს აწყდება, როცა სახალხო მეურნეობაში იწყებს მუშაობას.

სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ხშირად გადატვირთულია უმაქნისი ინფორმაციითა და მეორეხარისხოვანი მასალებით, რაც ხელს უშლის მოწაფეებისათვის დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის ჩვევების გამომუშავებას, სრულად არ იყენებენ გაკვეთილის, როგორც სწავლების ორგანიზაციის, მოწაფეებისათვის მაღალი იდეურ-ზნეობრივი ოვსებების ჩანერგვის, ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობისათვის მათი მომზადების ნაცად ფორმას. ყოველთვის თანამიმდევრულად როდი ხორციელდება სწავლა-განათლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობის პრინციპი. სრულად არ იყენებენ მოწაფეთა კოლექტივის გავლენას მოსწავლეების აღზრდაზე, მათი საზოგადოებრივი აქტიურობისა და ინიციატივის განვითარებაზე.

დადგენილებით სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ ისინი სათანადოდ არ უწევენ კონტროლს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დაყენების საქმეს, ჯეროვანი მომთხოვნელობით არ ეკიდებიან საბალხო განათლების ორგანოებსა და სკოლების ხელმძღვანელებს ცოდნის ხარისხისათვის, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მდგომარეობისათვის. ბევრგან ჯერ კიდევ არ იგრძნობა, რომ სკოლა, ოჯახი და საწარმოო კოლექტივი ერთად მონაწილეობენ ბავშვებისა და ახალგაზრდების ზნეობრივ აღზრდაში, ნელა ვრცელდება ამ მუშაობის დადებითი გამოცდილება.

დადგენილებაში განსაზღვრულია ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, მისი მუშაობის სრულყოფას, მოსწავლეთა აღზრდას და შრომისათვის მომზადებას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანაა თანამიმდევრულად შეასრულოს ხორცი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებებს საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განვითარების. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფის შესახებ, რათა უზრუნველყონ კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ მშენებელთა მომზადება.

თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, საშუალო სკოლების კურსდამთავრებულნი უნდა დაეუფლონ მეცნიერების საფუძვლების ღრმა ცოდნასა და შეიძინონ შრომითი ჩვევები, რათა იმუშაონ სახალხო მეურნეობაში, უშუალოდ შეუდგნენ გარკვეული პროფესიის დაუფლებას. ყველა საბჭოთა მასწავლებელმა, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა ღრმად უნდა შეიგნონ, თუ რაოდენ საჭიროა სკოლის გადამწყვეტი შემობრუნება მატერიალური წარმოების სფეროში საშრომლად ახალგაზრდობის მომზადების გაუმჯობესებისათვის, პროფესიის დახაბუთებული არჩევისათვის.

სახალხო განათლების ორგანოებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ იმას, რომ კონკრეტული და ქმედითი დახმარება გაუწიონ სკოლას შრომითი აღზრდის ძირეულ გაუმჯობესებაში, საზოგადოებრივად სასარგებლო, საწარმოო შრომისათვის მოსწავლეთა მომზადების სრულყოფაში.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გაუნყრლად ამაღლებდნენ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობასა და ხარისხს, იღვწოდნენ, რომ ყოველი გაკვეთილი ხელს უწყობდეს მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების განვითარებასა და მათთვის ცოდნის დამოუკიდებელი შეკვების ჩვევების გამომუშავებას; ჩაუნერგონ ახალგაზრდებს შრომის სიყვარული, მზრუნველი ადამიანებისადმი ღრმა პატივისცემა და მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობის სურვილი; განამტკიცონ სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ მეცნიერების საფუძვლების შესწავლა ცხოვრებას; კომუნისტური შშენებლების პრაქტიკას; სისტემატურად გააცნონ მოსწავლეებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და სამშინაო პოლიტიკა. ჩაუნერგონ მოზარდ თაობას უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის შეუწყნარებლობა, მზადყოფნა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა. მოზაზშეწონილად არის მიჩნეული, რომ რვაწლიან და საშუალო სკოლებში შეიქმნას მოსწავლეთა კომიტეტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პიროვნების იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ქმედითი საშუალების — შეკავშირებული კოლექტივების ჩამოყალიბებას.

დადგენილებით გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებელი სკოლაში მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და სწავლების ყოველმხრივი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ამ მიზნით სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ:

— ორგანიზაცია გაუწიონ მოხალისეთა ეფექტიან შრომითს სწავლებას და პროფესიულ ორიენტაციას, ამასთან გაითვალისწინონ სკოლების ახლომახლო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოყენების შესაძლებლობა. მონაწილეობა მიიღებინონ მოსწავლეებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად, ამასთან უზრუნველყონ, რომ რვაწლედამთავრებულნი შეგნებულად ირჩევდნენ განათლების შემდგომი განგრძობის გზასა და სპეციალური და პროფესიული მომზადების პროფილს;

— სრულყონ პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეცხრე კლასების რვაწლედამთავრებული ახალგაზრდებით დაკომპლექტების პრაქტიკა ერთიანი წლიური და პერსპექტიული გეგმების, როგორც ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემადგენელი ნაწილის საფუძველზე, ამასთან იხელმძღვანელონ ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესებით, ადგილებზე არსებული მოთხოვნილება კვალიფიციურ კადრებზე და გაითვალისწინონ თვით მოსწავლეების მიერ სასწავლებლის არჩევის უფლება.

— გაადიდონ IX-X (XI) კლასებში შრომითი აღზრდის დრო კვირაში ორიდან ოთხ საათამდე (სასწავლო გეგმის ფარგლებში) შრომითი აღზრდისათვის ქალაქისა და სოფლის სკოლის პირობების შესაბამისად ყოველმხრივ გამოიყენონ საწარმოთა სასწავლო საამქროები, სკოლათშორის სასწავლო-საწარმოო კომბინატები, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები და მოწაფეთა სხვა გაერთიანებანი. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სასკოლო სახელოსნოები, ლაბორატორიებ და კაბინეტები. უზრუნველყონ მოსწავლეთა რეგულარული უფასო მიყვანა სასწავლებლებთა შეიმუშაონ შრომის ახალი სასწავლო პროგრამები ყველა კლასისათვის და შესაბამისი სასწავლო მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოები;

— განამტკიცონ სკოლები შრომითი სწავლების მასწავლებელი კადრებით, გააფართოონ მათ მომზადება პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და სასწავლებლებზე, აგრეთვე მოაწყონ სახალხო მეურნეობის იმ მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლება, რომლებმაც უნდა იმუშაონ შრომის მასწავლებლებად, საწარმოო სწავლების ოსტატებად. გაითვალისწინონ, რომ კიდევ უფრო ღრმა განვითარდეს ფაკულტატივები და განაყოფლებენ ქსელი, დაც ინფორმერ-ტექნიკურ და სასკოლო-სამეურნეო სასწავლებლებში ამზადებენ შრომის მასწავლებლებსა და საწარმოო სწავლების ოსტატებს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისათვის.

სახალხო განათლების საოლქო, რაიონული (საქალაქო) განყოფილებების შტატებში დამატებულ შემოღებულ იქნება მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის ინსპექტორის თანამდებობა.

მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა ორგანიზაციისა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობილშეწყობისათვის საქართველოს მინისტრული სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოთა აღმასკომებთან შეიქმნას კომისიები, რომლებშიც მონაწილეობენ მიიღებენ სკოლებისა და სხვა სწავლებლების, საწარმოო კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შშობლების მომადგენლები; საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოეწყობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სასწავლო-მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოებით.

ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის კოორდინაციისათვის სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან შეიქმნება ხელმძღვანელობათშორისო მეთოდიკური ჭა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის შრომისა და სოციალური კითხთა სახელმწიფო კომიტეტ საკავშირო პროფსაბჭოს, სრულად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტისა და სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და ოლქების წარმომადგენელთა წილეობით.

საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შესაბამისად და მოსწავლეთა მოწოდების, ნიჭის, შრომითი მომზადების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების ყველა ამ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-3 ᲒᲒ.)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ,

ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ 1977 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲘ�გᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘ Ჯ. Გ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ამხანაგო დეპუტატებო!

მიიწურა 1977 წელი, მეათე ხუთწლედის მეორე წელი, რომელიც ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიაში შედის როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის წელი. ჩვენ ყველანი უშუალო მოწმე და მონაწილენი ვართ იმ ორი ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენისა, რომლებმაც მთელს მსოფლიოში უდიდესი რეზონანსი, ხოლო საბჭოთა ხალხში არნახული პოლიტიკური აქტიურობა და შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის, მზადდებამ და დღესასწაულობამ. ახალი კონსტიტუციის მიღებამ ერთხელ კიდევ უჩვენა კეთილშობილ საბჭოთა ხალხის მტკიცე და ურღვევი დარაზმულობა კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ის ერთსულოვნებენ, რომელიც ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის პერიოდში გამოვლინდა, სოციალისტური დემოკრატიის ლენინური პრინციპების, ოქტომბრის იდეების უკვდავების, გამარჯვებისა და შემდგომი განვითარების მკაფიო და ნათელი დადასტურება.

და აი უკვე ორ თვეზე მეტია, რაც ახალი საბჭოთა კონსტიტუცია ცოცხლობს, მუშაობს, მოქმედებს და თითოეული მისი მუხლი თუ დებულება მტკიცედ მკვიდრდება ყველა სახელმწიფო ორგანოს, ყველა თანამდებობის პირისა და საბჭოთა მოქალაქის ყოველდღიური საქმიანობის ცოცხალ პრაქტიკაში. საბჭოთა ხალხი მადლიერია და დიდად აფასებს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მისი ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ საქმიანობასა და ზრუნვას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის, შშრომელთა სულიერი და მატერიალური ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის.

საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სიტყვით და საქმით დაუჭირეს მხარი ჩვენი ქვეყნის ახალ ძირითად კანონს. ისინი პროექტის თითოეულ სტრიქონს უდარდნენ საკუთარ პროექტულ მუშაობას, თავიანთი შრომითი კოლექტივების საქმეებს, კისრულობდნენ გადადებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, ეძებდნენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ახალ რეზერვებს, დიდი შრომითი საგმირო საქმეებით შეხვდნენ თავიანთ ახალ კონსტიტუციას.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მოხსენებაში, რომლითაც წელს წარდგა პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგ

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები,

რომლებიც გამომდინარეობს სსრ კავშირის კონსტიტუციიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან, და მათი როლი ახალი კონსტიტუციის დებულებების პროპაგანდაში, შესწავლასა და განხორციელების საქმეში

(დასასრული)

ნება მომეცით, შევეხო იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც ხელს გვიშლის მუშაობაში, და ჩვენგან შემოქმედებითს საქმიანობას მოითხოვს.

როდესაც დაიწყება სხა-ბაასი სესიაზე გამოტანილი საკითხების, განსაკუთრებით კი გეგმისა და ბიუჯეტის გამო, ორატორები, ალბათ, უმთავრესად ისეთ ხელისშემშლელ მიზეზებს დაასახელებენ, როგორიც არის მასალებისა და სახსრების ნაკლებობა და ამასთან დაკავშირებით დააყენებენ საკითხებს მათი დამატებით გამოყოფის შესახებ.

ეს მიზეზები ინგარიშგასაწევია და მათზე ლაპარაკი ღირს. მაგრამ მათი მთავარ მიზეზად მიჩნევა, ანდა მხოლოდ მათზე ლაპარაკი, ნამდვილად შეცდომა იქნებოდა. ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური გეგმების შეუსრულებლობა ყოველთვის ამ მიზეზებით როდი აიხსნება.

აჯობებდა მეტი ყურადღება დაგვეთმო ადამიანთა პოტენციალური შესაძლებლობების სრულად გამოყენების საკითხებისათვის. ამჟამად ადგილებში გვაქვს ინიციატივა მუშაობაში, მაღალი პასუხისმგებლობა დაევალებათა შესრულებისათვის, საკითხების გადაყვეტისადმი შემოქმედებითი მიდგომა. მუდმივი ძიება დამატებითი რეზერვებისა და საშუალებათა გამოსავლენად და ასამოქმედებლად, ფფლადი და მატერიალური ახსრების ყაირათიანი და გონივრული ხარჯვა.

საკითხის ასე დაყენება მნიშვნელოვნად გეუადგილებდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს. მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრაში.

მთელ რიგ შემთხვევებში ობიექტის, რესუსავის, ქუთაისის და ივა ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოები საერგებლობენ ნერხთან და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ. მათ კარგად ვთ შეგნებული ის კონსტიტუციური უფლება-მოვალეობანი, ომ ისინი უშუალოდ და მათ ერ შექმნილი ორგანოების მეშობით ხელმძღვანელობენ სახელიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ელა დარგს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათ სრულებას, კონტროლს უწევენ დაწყვეტილებათა განხორციელებას.

მაგრამ ყველანი როდი იჩენენ ქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას. წულუკიძის, თიანეთისა და ალი ერგი სხვა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები აკომპეტენტურად, ზერელედ ლმძღვანელობენ სამეურნეო საბების გადაწყვეტას, ვერ ერვიან გეგმებში. მის ძირითად ვნებებლებში, იმ ამოცანებში, ალებიც მიმდინარე პერიოდის ნგას ქალაქისა თუ რაიონ წინაშე, არ ახორციელებენ ამწყვეტ ღონისძიებებს საფლო-სამეურნეო თუ სამრეწო საკითხების დროული მორებისათვის.

ასპის საქალაქო საბჭოს აღმასკ არ გაიჩინა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ წარმოება-დებულებათა გეგმები, პროდუქს გამოშვებისა თუ რეალიზაცის მაჩვენებლები, კონტროლს უწევს ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმების რულების მიმდინარეობის და ...

ოგორთა საქალაქო თუ რაიონული საბჭოს აღმასკომი სუსტად ბაობს რაიონის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ...ბჭოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ...ართველოს სსრ მინისტრთა საბ... მიერ მიღებულ დადგენილებ... შესასრულებლად. ხშირად მათ ...ფიური პოზიცია უკავიათ და არ ...ვიან ცალკეული მშენებლობის ...ულად დაგეგმარების, მშენებ...ის დაწყების თუ დამთავრე... მრეწველობის ცალკეული და... ...ების განვითარების, მუშახელის ...ენელყოფის, ქალაქების თუ ...ინული ცენტრების კეთილმო...ტის, ხაყოფაცხოვრებო მომსა...ების და ვაჭრობის ორგანი...ის გაუმჯობესებისა და ამ ...ებში მაცარი სახელმწიფო ...ების დამყარებისათვის.

...რამდენიმე ხნის წინათ საქა...ლოს სსრ მინისტრთა საბჭომ ...ალაქ ქუთაისს, ხო... ახალციხის რაიონების სა... დეპუტატთა საბჭოების ...ების მიერ სოფლად სახე... ...ოფო და შრომის დისციპლი...ის მაჩვენებლებისთვის ...ლების საკითხი და აღნიშნა, ...ისინი სუსტად ხელმძღვანე...ენ მათ ტერიტორიაზე განლა...ულ სამეურნეო ორგანიზაციებ...საქმიანობას: ჯეროვანად არ ...ინა სახალხო მეურნეობის ...ი ოგოლში სახელმწიფო და ...ითი დისციპლინის განმტკი...სათვის: ხშირად რაიონალურ... არ იყენებენ მატერიალურ ...რმოთს რესურსებს; მუშახე...სმაშოდ გამოსვლის ცუდი ...ნიზაციისა და შრომის დის...ინის დარღვევების შედეგად ...ს საზოგადოებრივი მეურნე...ობის ...ერი ...ებლების ...ოფლ...ებ...ებ...ებ

(დასასრული)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

დამთავრებულის გეგმიანი ჩაბმა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაობაში, რომლებიც განათლებას აღარ განაგრძობენ; ყოველნაირად წვავახალისოთ მოსწავლეთა მისწრაფება საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომონ მატერიალური წარმოების სფეროში.

სამინისტროები და უწყებები, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სპეციალისტთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი მოსწავლეთა შრომითს სწავლებასა და პროფესიულ ორიენტაციას. მიზანშეწონილად არის მიჩნეული ყოველ საშუალო სკოლას გამოუყონ სპეციალური ადგილი (ორგანიზაცია).

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცეთ განსაზღვრონ (საქვეუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად) საწარმოები, ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომლებშიც შეიქმნება ახალი სასწავლო საამქროები და უბნები; გაუწიონ დახმარება სახალხო განათლების ორგანოებს სასოფლოშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელის შემდგომ განვითარებაში; ყოველნაირად განავითარონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მოსწავლეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები — სასკოლო სახელოსნოები, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები, შრომისა და დასვენების საზაფხულო ბანაკები და სხვა შრომითი გაერთიანებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დაევალათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შემოიტანონ წინადადებანი შრომითი სწავლების მატერიალური ბაზის განმტკიცების შესახებ, მხედველობაში იქონონ, რომ საჭიროა გაითვალისწინონ აუცილებელი ცვლილებანი სასკოლო შენობების პროექტებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, გაუმჯობესონ სკოლების მომარაგება ტექნიკით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, მოწყობილობით, ინსტრუმენტებით, მასალებითა და ავეჯით.

სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების, ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა სადგურებისა და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის განვითარებისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ნება მიეცათ გამოიყენონ სასკოლო შენობები, რომლებიც თავისუფლდება.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებს დაევალათ შეიტანონ ცვლილებანი სასწავლო გეგმებში, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, რათა ისინი საჭირო მოცულობით შეიცავდნენ შესაბამის მეცნიერებათა საფუძვლებს, უზრუნველყოფდნენ შესასწავლი საგნების პოლიტიკურ, შრომისა და აღმზრდელობითს მიზანმიმართულებას, მათს ხელმისაწვდომობას, შინაგან მემკვიდრეობითობას და ლოგიკურ თანმიმდევრულობას ყველა სწავლების საფეხურზე. სწავლებისა და აღზრდის მეთოდები შეუსაბამონ განათლების შინაარსს, ცხოვრების მოთხოვნებს.

საჭიროდ არის მიჩნეული განტვირთოს სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები მეტისმეტად გართულებული და მეორეხარისხოვანი მასალისაგან. განახორციელონ კონტროლი მოსწავლეთა სასწავლო დატვირთვიხადმი, არ დაუშვან ზედმეტი სიშინაო დავალებანი. დადგინდეს 1980 წლისათვის მოსწავლეთა ზღვრული სასწავლო დატვირთვა: I-III კლასებში — 24 საათი, IV კლასში — 27 საათი, V-VII კლასებში — 29 საათი, VIII კლასში — 30 საათი, IX-X (XI) კლასებში — 32 საათი კვირაში. მოწესრიგდეს ფაკულტატიური მეცადინეობათა მოწყობა, შეინარჩუნონ ეგი ისეთი მოცულობით, რომელსაც მოქმედი ტიპობრივი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს.

ვითვალისწინონ რა საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებელი სკოლის მნიშვნელოვან როლს საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებაში, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა გააუმჯობესონ ამ სკოლების მუშაობა და შექმნან საჭირო პირობები, რათა მომუშავე ახალგაზრდობამ სრული მოცულობით მიიღოს საშუალო განათლება; გააფართოონ აღნიშნული სკოლებისა და მათი ფილიალების ქსელი უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დადგენილება იქონიოს შრომითი კოლექტივების თაოსნობას, რომელებსაც სოციალური განვითარების გეგმებსა და სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლებში შეაქვთ მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების მაჩვენებლები.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებს, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობებს, პოლიგრაფიასა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოების იდეურ-თეორიული და მეთოდიკური დონის შემდგომი ამაღლება და საკმაო რაოდენობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სასწავლო, მხატვრული, საცნობარო-საინფორმაციო და სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურით სახელოო ბიბლიოთეკების მომარაგება, ამისათვის გაზარდონ გამოცემათა შესაბამისი ტირაჟები. მასწავლელთა დახმარებლად გამოუშვან მეთოდიკურ ბიბლიოთეკათა სერიები.

პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ორგანოებმა დამჯერებლად უნდა გაუწიონ პროპაგანდა სახალხო განათლების სისტემის მიღწევებს, მოწინავე პედაგოგიურ ამოცდილებას, ყოველნაირად შეუწყონ ხელი სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტის განმტკიცებას.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა აამაღლონ განათლების ხელმძღვანელი კადრების, სკოლების დირექტორების, მასწავლებლებისა და აღმზრდელების პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და შედეგებისათვის, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათ იდეურ-პოლიტიკურ მომზადებასა და პროფესიული ოსტატობის ზრდას; შექმნან პედაგოგიურ კოლექტივებში მაღალი პრინციპულობის, მომთხოვნელობის, ნდობისა და ურთიერთდახმარების ვითარება; განახორციელონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, როგორც სკოლების, სკოლისგარეშე და სკოლამდელთა დაწესებულებების ყველა კატეგორიის პედაგოგთა სამეცნიერო-მეთოდიკური მუშაობის ცენტრების, საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. განამტკიცონ მეთოდიკური კაბინეტები კვალიფიციური კადრებით. ეს დაწესებულებანი უზრუნველყონ საჭირო შენობებით, თანამედროვე მოწყობილობითა და დიდაქტიკური სახელმძღვანელოებით. დაეხმარონ სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს მასწავლებელთა აგვისტოსა და იანვრის კონფერენციების, როგორც მასწავლებელთა თეორიული დონისა და მეთოდიკური ოსტატობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი საშუალების, მუშაობის სრულყოფაში; განახორციელონ საშუალო და რვაწლიანი სკოლების დირექტორების, მათი მოადგილეების, სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების მუშაკთა გადამზადება პედაგოგიურ ინსტიტუტებთან და უნივერსიტეტებთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, პედაგოგიური სასწავლებლების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აამაღლონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონე სასწავლებლებში, გაამლიერონ მისი იდეურ-თეორიული მიზანმიმართულება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობისათვის ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებას, უზრუნველყონ მათი უფრო რაციონალური გამოყენება და შენარჩუნება. გააუმჯობესონ ახალგაზრდობის შერჩევა პედაგოგიურ სასწავლებლებში. სისტემატური და მიზანდასახული მუშაობა გასწიონ, რათა სტუდენტებსა და მოსწავლეებს ჩაუნერგონ ღრმა პატრიოტიზმი მასწავლებლის პროფესიისადმი, მოკალაქეობრივი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა სკოლაში მუშობისათვის.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ, უნივერსიტეტების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოების მიუხედავად, პედაგოგიურ სამუშაოზე სკოლებში ჯერ კიდევ საკმარისად არ გზავნიან უნივერსიტეტების განათლების მქონე კურსდამთავრებულებს, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ საგნებში. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებთან და სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დაეკვალათ ყოველწლიურად თითოეულ უნივერსიტეტში განსაზღვრონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებად სამუშაოზე გაგზავნასთან კურსდამთავრებულთა რიცხვი და პროფილი. ამასთან გაითვალისწინონ მოთხოვნილებანი ამ კადრებზე. უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის, რომლებიც მასწავლებლად მუშაობისათვის ემზადებიან, გაითვალისწინონ ფსიქოლოგია-პედაგოგიკის დისციპლინების ციკლის შესასწავლად გამოყოფილი საათების რიცხვის გადიდება. საუკეთესო მასწავლებლების წასახალისებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბავშვებისა და ახალგაზრდობის სწავლებასა და აღზრდაში, წესდება საპატიო წოდება „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი". ეს წოდება მიენიჭება სკოლების მასწავლებლებსა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პედაგოგებს, სასწავლო-აღმზრდელობითი, მეთოდიკური და სხვა დაწესებულებების, განათლების ორგანოების მუშაკებს ბავშვებისა და ახალგაზრდობის სწავლებასა და კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის.

კულტურის, პრესის, რადიოს, ტელევიზიის ორგანოებს, შემოქმედებითს კავშირებს რეკომენდაცია ეძლევათ გაააქტიურონ მუშაობა მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ორგანიზაციაში სკოლის დასახმარებლად.

უმცროს მოსწავლეთა მხატვრული განათლებისა და ფიზიკური განვითარების დონის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილად არის მიჩნეული პირველ კლასებში სახვითი ხელოვნების, მუსიკისა და სიმღერის, ფიზკულტურის სწავლება, საჭირო პირობების შექმნის კვალობაზე, დაეკისროთ საშუალო და რვაწლიანი სკოლების უფროსი კლასების სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებს. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტებს, ინსტიტუტებს, ფილიალებს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

დეპუტატ ე. მ. ხაფარიძის მოხსენების დასასრული

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებში გაგრძელდება კვლევა ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების მრავალ დარგში.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს მრეწველობაში ახალი სახეობის პროდუქციის ათვისების, პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის 540 ღონისძიებას.

მომავალ წელს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები ათვისებენ 167 დასახელების თანამედროვე ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისი მანქანის, მოწყობილობის, ხელსაწყოების, აპარატების და სხვა სახეობათა ახალი პროდუქციის წარმოებას. გაიზრდება ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი ნაწარმის გამოშვება, უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა — 6,5 პროცენტიდან 11,8 პროცენტამდე გაიზრდება.

მარტო საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში დაინერგება 60 მექანიზებული და 30 ავტომატიზებული ნაკადური ხაზი.

ტექნიკური დონის ამაღლებისა და ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ავრეთვე წარმოებაში მეცნიერების სხვა მიღწეულთა დანერგვის საფუძველზე ძიებული ეკონომიკური ეფექტი 25 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. მარტო საქართველოს მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის გზით პირობით განთავისუფლებულ მუშათა რაოდენობა 2,600 კაცს მიაღწევს.

1978 წელს რესპუბლიკაში განხორციელდება გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებულ სისტემათა დანერგვის მნიშვნელოვანი სამუშაოები.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება

პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული მოსახლეობის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების პროგრამის შესაბამისად, 1978 წლის გეგმა ითვალისწინებს სოციალური განვითარების ღონისძიებათა ერთელი კომპლექსის განხორციელებას საზოგადოებრივი წარმოების ზრდისა და სრულყოფის საფუძველზე.

ეროვნული შემოსავლის, სახალხო მეურნეობის საქონლის წარმოების ზრდის, მომსახურების სფეროს დარგების განვითარების კვალობაზე, რეალური შემოსავალი რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე 1978 წელს 5 პროცენტით გაიზრდება. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზრდება 3 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 3,4 პროცენტით. გათვალისწინებულია მისაცემლების და შეღავათების შემდგომი მატება. საზოგადოებრივი მოხმარების ფონდებიან.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და მოხმარების საგნების წარმოების ზრდის გათვალისწინებით დასახულია საცალო საქონელბრუნვის 4,8 პროცენტით და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის 10 პროცენტით გაზრდა. გათვალისწინებულია განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის ქსელის შემდგომი განვითარება. 1978 წელს დაფინანსდება ყველა წყაროს ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1581 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი ბინები, რის შედეგადაც საბინაო პირობებს გაიუმჯობესებს 103 ათასი კაცი.

ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

1978 წლის გეგმა ითვალისწინებს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მნიშვნელოვან ღონისძიებებს. დასახულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს ღიე-ბიში 220,5 ათასი კუბური მეტრი საერთო სამძლავრის ჩამდინარე წყლების გასაწმენდი საგებურები, რის შედეგადაც გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ხვედრითი წონა რესპუბლიკის ტერიტორიაზე 35 პროცენტამდე გაიზრდება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის ფარგლებში შავი ზღვის ნაპირგასამაგრებელ სამუშაოთა განხორციელებას, რასაც 4,0 მილიონი მანეთი მოხმარდება.

სულ ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 43 მილიონ მანეთს აჭარბებს, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში — 23 მილიონ მანეთს.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს ავხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ცხინვალის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. ამ რეგიონების სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების კონკრეტული მონაცემები ასახულია თქვენთვის წარმოდგენილ მასალებში.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების სხდომებზე განხილვის დროს პროექტის თაობაზე შემოვიდა ზოგიერთი სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის შენიშვნები და წინადადებები.

მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული წინადადებები ამჟამად განხილება და სათანადოდ აისახება გეგმის საბოლოო დაზუსტების დროს.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმა ძირითადად ეფუძნება ადრე ნაკისრ ვალდებულებებს, ამასთან, ითვალისწინებს ეკონომიკის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლებას, ეკონომიკური ზრდის ინტენსიფიკაციას, ეფექტიანი ტექნოლოგიების, ტექნიკის, ავტომატების, ავტოხაზების, ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის, ელექტროენერგეტიკის, ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, ავტომობილების, ტრაქტორების, ელექტროძრავების, ელექტროტექნიკური ნაწარმის, ელექტროლამპების, ელექტროგენერატორების, ელექტროგაზომვითი ხელსაწყოების, ავტომატიკის, ტელემექანიკის, ბეტონის, ბეტონის ნაკეთობების, ფოლადის, ალუმინის, ალუმინის ფოლგის, ალუმინის ნაკეთობების, ალუმინის ოქსიდის, ალუმინის ფაიფურის, ალუმინის ნედლეულის, ალუმინის ფოსფატების, ალუმინის ფოსფორმჟავას, ალუმინის ფოსფორიანი ნაერთების, ალუმინის ფოსფორიანი ნედლეულის, ალუმინის ფოსფორიანი ფაიფურის, ალუმინის ფოსფორიანი ფაიფურის ნედლეულ